საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 45 07/10/2019

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულში შემავალი სოფელ ღარიხევიდან ბრუისის უბნის გამოყოფისა და მისთვის ამავე სახელწოდებით სოფლის კატეგორიის მინიჭების წინადადების მოწონების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61 მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №307 დადგენილების „დასახლების შექმნისა და გაუქმების, დასახლებისთვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭებისა და შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის წესების დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მოწონებული იქნეს წინადადება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულში შემავალი სოფელ ღარიხევიდან ბრუისის უბნის გამოყოფისა და მისთვის ამავე სახელწოდებით სოფლის კატეგორიის მინიჭების თაობაზე.

მუხლი 2.განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის "

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 180–ემუხლით

დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე